ნორვეგია მიესალმება ძვირფას სტუმარს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 151 (12967) | სამშაბათი, 30 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მეგობრობის ვიზიტი წარმატებით გრძელდება

ოსლო. 29 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ე. გერჰარდსენს.

სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და ე. გერჰარდსენი ვიზიტის დროს.

ფოტო აპ-საკადესისა. (მიღებულია საქადესის ფოტოტელეგრაფით).

ნ. ს. ხრუშჩოვი ნორვეგიაში

△ ნ. ს. ხრუშჩოვი ნორვეგიაში ჩავიდა. △ გულითადი საუბარი ნორვეგიის მთავრობის შენობაში. △ ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ნორვეგიის პარლამენტის თავმჯდომარეს. △ გვირგვინებით შეიმკო მამაც პატრიოტთა საფლავები. △ მეფე ულაფ V საუზმე გამართა ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად.

ოსლო, 29 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.). ნორვეგიის დედაქალაქის ყველა სახელმწიფო შენობაზე, ოსლოს ნავსადგურის ყველა ხომალდზე ფრიალებს ალმები. ეს ალმები აღმართულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ნორვეგიაში.

საზეიმოდ მორთულა პატივდების ნავმისადგომი, ნავსადგურში აღმართულია ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის ალმების ფლაგშტოკები. აქ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებთან შესახვედრად ჩამოვიდნენ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ გერჰარდსენი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალვარდ ლანგე და მთავრობის სხვა წევრები, სტორტინგის დეპუტატები, ქალაქ ოსლოს ბურგომისტრი ბ. ბული, დიპლომატიური კორპუსი, საბჭოთა კოლონიის წევრები, მრავალი ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი, კინოოპერატორი.

ნორვეგიის ტერიტორიული წყლების საზღვართან თბომავალ „ბაშკირეთს", რომელზეც ნ. ს. ხრუშჩოვი მოგზაურობს სკანდინავიის ქვეყნებში, შეხვდნენ ნორვეგიის სამხედრო-საზღვო ძალების საესკადრო ნაღმოსნები „ბერგენი" და „სტავანგერი". საესკადრო ნაღმოსნების ესკორტმა თბომავალი მიაცილა შიგა რეიდის სადგომადე. ქუხს ერთა სალუტი: ნ. ს. ხრუშჩოვი ტოვებს „ბაშკირეთს" და გადადის ნორვეგიის კატარღა „იარლზე", რომელსაც მოჰყავს იგი პატივდების ნავმისადგომთან.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა ჩამოდიან ნაპირზე. საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად არიან პირები, რომლებიც თან ახლავენ მას ამ მოგზაურობაში: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე რ. ნ. სიდაკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში ნ. მ. ლუნკოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მხურვალედ მიესალმა ათასობით ნორვეგიელი, რომლებიც შეიკრიბნენ მოედანზე, ახლომდებარე ქუჩებში, კლდეებზე ნავსადგურის ირგვლივ, ხომალდებზე, რომლებიც აქ დგანან. ერთ-ერთ ტანკერს ამშვენებს წითელი ტრანსპარანტი: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ნ. ს. ხრუშჩოვ!". ნიკიტა სერგის ძე მისალმების ნიშნად ხელს უქნევს ნორვეგიის დედაქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც ხვდებიან სპეციალ სტუმარს.

საზეიმოდ ყღერს საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ე. გერჰარდსენმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის — მეფის გვარდიელთა მწკრივს. საბჭოთა მთავრობის მეთაური გულთბილად მიესალმა მთავრობის წევრებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საბჭოთა კოლონიას.

ე. გერჰარდსენი უსაბოლოდ მიკროფონს და წარმოთქვამს სიტყვას. საპასუხო სიტყვას წარმოთქვამს ნ. ს. ხრუშჩოვი.

ე. გერჰარდსენისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს დიდი ყურადღებით მოუსმინეს და ტაშით შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ე. გერჰარდსენი, საბჭოთა მთავრობის მეთაურის თანმხლები პირები სხდებიან მანქანებში და მიდიან ბიუგდოი კონგსგორდში — მეფის მამულში, სადაც იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რეზიდენცია. მთელ გზაზე მათ მხურვალედ მიესალმებოდნენ ნორვეგიის დედაქალაქის მცხოვრებლები.

ოსლო, 29 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მთავრობის შენობაში ეწვია ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ე. გერჰარდსენს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ე. გერჰარდსენს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე რ. ნ. სიდაკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში ნ. მ. ლუნკოვი.

ნორვეგიის მხრივ საუბარზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ლანგე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ე. ბოიესენი, ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში ფ. იაკობსენი, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ა. ანდერსენი.

ოსლო, 29 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია სტორტინგის (პარლამენტი) თავმჯდომარეს ნ. ლანგჰელის და მეგობრულად ესაუბრა მას.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად იყვნენ პირები, რომლებიც მას ახლავან ნორვეგიაში მოგზაურობის დროს, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში ნ. მ. ლუნკოვი.

ნორვეგიის მხრივ ვიზიტს დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ლანგე და სხვა ოფიციალური პირები.

საუბრის შემდეგ ნ. ლანგჰელემ მიიწვია ნ. ს. ხრუშჩოვი პარლამენტის შენობის დასთვალიერებლად. დათვალიერების დროს ნ. ლანგჰელემ უამბო საბჭოთა მთავრობის მეთაურს, თუ როგორ მუშაობს სტორტინგი.

ოსლო, 29 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.). ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლებში მტკიცდებოდა და იწრთობოდა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა. ცოტა მსხვერპლი როდი გაიღეს მათ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

1945 წლის გაზაფხულზე, როცა უკვე მოახლოვდა ჰიტლერიზმის კრახი, ფაშისტებმა კიდევ ერთი სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს: „აკერსჰუსის" ციხე-სიმაგრეში მათ დახვრიტეს ორმოცდაორი ნორვეგიელი პატრიოტი — წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე.

მამაც მებრძოლთა დახვრეტის ადგილზე ახლა აღმართულია ძეგლი. ძეგლს სარკოფაგის ფორმა აქვს. მის გარშემო ხეებს ჯერ კიდევ ამჩნევია ფაშისტთა ტყვიების კვალი.

დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა იმ ადგილას, სადაც ფაშისტურ ბრძოლაში დაიღუპნენ ნორვეგიელი ხალხის ღირსეული შვილები. სამგლოვიარო მელოდიის ხმებში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გვირგვინით შეამკო ძეგლის კვარცხლბეკი. წითელ ლენტებზე ნორვეგიულ და რუსულ ენებზე წარწერილია: „ნორვეგიელ პატრიოტებს, რომლებიც თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი".

არის ოსლოში სხვა სასაფლაოც — ვესტერე გრავლუნდი. აქ შესასვლელის მახლობლად აღმართულია გრანიტის ძეგლი: საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც ხელში ავტომატი უჭირავს. კვარცხლბეკზე წარწერაა: „ნორვეგია მადლობას გიძღვნით თქვენ". ძეგლი დაიდგა საბჭოთა ჯარისკაცების და ოფიცრების პატივსაცემად, რომლებმაც თავი დადეს ნორვეგიის მიწა-წყალზე, როცა ჰიტლერული ჭირისაგან ათავისუფლებდნენ მას.

ამ ძეგლის შექმნის ინიციატორი ნორვეგიის ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო. 1946 წლის იანვარში მათ ნორვეგიის გაზეთებში გამოაქვეყნეს მიმართვა ხალხისადმი. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს შეეგროვებინათ ძეგლის ასაგები სახსრები. ნორვეგიელი ხალხი მხურვალედ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. 1947 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის დღეს, ძეგლი გაიხსნა. მას შემდეგ აქ იყო ასეული ათასობით ადამიანი, რომლებმაც პატივი სცეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გმირებს.

დღეს ვესტერე გრავლუნდის სასაფლაოზე მივიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები. ძეგლთან საპატიო ყარაული დგას, გაისმის დოლის ხმა.

საბჭოთა მთავრობის მეთაური წითელ ყვავილთა დიდი გვირგვინით ამკობს ძეგლს: „ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ საბჭოთა მეომრებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი" — ასეთი წარწერაა გვირგვინის ლენტზე. დგება მწუხარე დუმილის წუთი. საბჭოთა მთავრობის მეთაური, მთელი საბჭოთა სამშობლო პატივს სცემს თავისი გმირების ხსოვნას.

ოსლო, 29 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია აგრეთვე ნორვეგიის მეფეს ულაფ V.

მეფე ულაფ V და ნ. ს. ხრუშჩოვს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ნორვეგიის მეფემ გამართა საუზმე ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. პ. ხრუშჩოვას პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები, ნორვეგიის მხრივ იყვნენ პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი მეუღლითურთ, მთავრობის წევრები.

საუზმის დროს მეფე ულაფ V და ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

ავღანელი სტუმრები

მოსკოვი, 29 ივნისი. (საკადესი). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკის მოწვევით დღეს ქაბულიდან მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ავღანეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ხან მუჰამედ ხანი.

სამხედრო დელეგაცია რამდენიმე დღეს დარჩება საბჭოთა კავშირში. გარდა მოსკოვისა, სტუმრები ეწვევიან თბილისს, ყირიმსა და ლენინგრადს.

უ ფანი მოსკოვში ჩამოვა

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით ბაირთინეანელი ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი 1964 წლის 28 ივლისიდან 31 ივლისამდე მოსკოვს ეწვევა.

საბჭოთა მუსიკოსების ტრიუმფი

პარიზი, 29 ივნისი. (საკადესი). „ნამდვილი ტრიუმფი" — ასე შეაფასა ფრანს პრესის საადგილმამულო კორესპონდენტმა საბჭოთა პიანისტის სვიატოსლავ რიხტერისა და მოსკოვის კამერული ორკესტრის გამოსვლა რუდოლფ ბარშაის დირიჟორობით ტურის მუსიკალური ფესტივალის დასკვნითს კონცერტზე.

რიხტერის ბრწყინვალე ოსტატობამ, რომელსაც წილად ხვდა პატივი გაეხსნა ფესტივალი და აგრეთვე დაეკრა დასკვნითს კონცერტზე, მოხიბლა ფრანგი მუსიკის მოყვარულები. პრესამ მუსიკის დღესასწაულში საბჭოთა ვირტუოზების მონაწილეობა ერთსულოვნად შეაფასა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებაში.

ფესტივალის დახურვას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი, საფრანგეთის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

მესამასე გაფრთხილება

პეკინი, 29 ივნისი. (საკადესი). ამერიკის წყალქვეშა ნავი დღეს შეიჭრა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში გუანდონის პროვინციის რაიონში და იყო იქ 11 საათსა და 28 წუთიდან 14 საათსა და 07 წუთამდე. ამერიკის შეერთებული შტატების წყალქვეშა ნავის ამ სამხედრო პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დაევალა გაეკეთებინა მესამასე სერიოზული გაფრთხილება. ამას იუწყება სინხუას სააგენტო.

უკანასკნელ საათს

200.000 ტონა ჩაბმულია!

550 ტონა — გეგმის ზევით

სასიხარულო კაცვაკი

— ივნისის უკანასკნელ დღეებში უხვად შემოვიდა საკრეფად ჩაის ფოთოლი. ამანაც შეუწყო ხელი წარმატებით შეგვესრულებინა მაის-ივნისის გეგმა, — განაცხადა საუბარში ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. ბაღათურიამ. 28 ივნისისათვის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 5.403 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 5.356 ტონისა. შარშანდელთან შედარებით 569 ტონით მეტი „მწვანე ოქროა" მოკრეფილი.

ცხაკაიელი მეჩაიეების გადაწყვეტილებაა 1 ივლისამდე ორი თვის გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 350 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ" ორი თვის დავალება 112 პროცენტით გაანაღდა, ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 104 პროცენტით, კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ — 109,2 პროცენტით.

მაის-ივნისის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თეკლათის, ახალსოფლის, ლეძაძამის, სარაჭონის, ლენინის კიროვის სახელობის, მუხურის წერეთლის სახელობის, ნოქალაქევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა. ნოქალაქეველი მეჩაიეების მიერ მოკრეფილი ნედლეულის 94 პროცენტი პირველი ხარისხისაა. წარმატება მოიპოვა ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც მაის-ივნისის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა.

კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულების სასახელოდ შესრულებისათვის.

ინტენსიფიკაციის პირველი წელი სასახელოდ დაიწყეს გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა ვადაზე 3 დღით ადრე შეასრულეს, მოკრიფეს 4.550 ტონა „მწვანე ოქრო" ნაცვლად 4 ათასი ტონისა და ამით წლიური გეგმა 54 პროცენტით შეასრულეს.

დაწინაურდნენ **ლენინდრაოს** კოლმეურნეობა „საქართველო" (თავმჯდომარე გ. ახალაია), **ბანძის** (თავმჯდომარე ი. გაბუნია), **ვედიდკარის** (თავმჯდომარე ნ. ჩიქოვანი), **კურზუს** (თავმჯდომარე გ. ბერულავა), **ნახუნაოს** (თავმჯდომარე ი. ფალავა), **ნორიოს** (თავმჯდომარე ა. კუცია), **ძველი აბაშის** (თავმჯდომარე ი. გაბელია), **გურძემის** (თავმჯდომარე კ. ხარებავა) და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, **დიდი ჭყონის** ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. მანია).

გამოჩნდნენ ახალი მეჩაიეები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ამ მხრივ პირველობას არავის უთმობს სოფელ ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს" მეჩაიე **ნაიზა ბართაია**, რომელმაც 29 ივნისისათვის 0.5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4.500 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა.

გეგეჭკორელ მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვს, — საუბარში განაცხადა გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. **ჩხოლარიამ**, — 20 აგვისტოსათვის შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, ხოლო ვალდებულება — პირველ სექტემბრისათვის.

ფეჯიგრეგის ინიციატორებთან

კოგულეთელმა მეჩაიეებმა, რომლებიც შეჯიბრების ინიციატორები არიან, ჯერ კიდევ 21 ივნისისათვის გაანაღდეს ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის კორესპონდენტთან საუბარში ქობულეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **დ. თებიძემ** განაცხადა: — პლანტაციებში კვლავ უხვად არის ფოთოლი. ყოველდღე ძლიერდება ჩაის კრეფის ტემპი. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, 28 ივნისს მოიკრიფა 100 ტონა, ხოლო 29 ივნისს — 150 ტონა მწვანე ოქრო. სულ ივნისში ოქტომბერი გეგმის ანგარიშში მოკრეფილია 825 ტონაზე მეტი ფოთოლი.

ამხანაგო მეჩაიეებო! საბოლოო თქვენგან მოლის ახალ საგმირო საქმეებს — შვიდწლედი შეასრულოთ ექვს წელიწადში!

არც ერთი სიგნალი უყურადღებოდ!

საბჭოთა პრესა ყოველდღიურ მუშაობაში ეყრდნობა მილიონობით მშრომელთა მხარდაჭერას, მათს აქტიურ თანამშრომლობას. ეს არის იმის მთავარი საფუძველი, გასაღები, რომ გაზეთი, ჟურნალი მუდამ იძენს ადამიანთა გონებასა და გულზე ზემოქმედების უდიდეს ძალას.

ახლა ჩვენს პრესას მძლავრი ფრთები აქვს. მისი მგზნებარე, მართალი ხმა მტკიცედ, ომახიანად, შეუპოვრად გაისმის როგორც გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებიდან, ისე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით. რაც დრო გადის, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდება ჩვენი გაზეთების, ჟურნალების აქტივი, სულ უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს მათს საქმიანობაში. სისტემატურად მატულობს შემოსული წერილების რაოდენობა რედაქციებში. მათ შორის ცოტა როდია მამხილებელი, კრიტიკული, როგორც იტყვიან, საგულისხმო სიგნალები ჩვენი ცხოვრების ავკარგზე.

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ყველა მუშაკს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთი წერილების, საგულისხმო სიგნალების უკან მუდამ დგას ცოცხალი ადამიანი, საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც გული შესტკივა სახალხო საქმისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა პრესის დინე, მისი ორგანიზატორული როლი. მეტი წილი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და კოლმეურნეობები ყურადღებითა და გულისხმიერებით ეკიდებიან გაზეთებისა და ჟურნალების გამოსვლებს, დროზე იღებენ გადამწყვეტ ზომებს მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და ატყობინებენ საზოგადოებრიობას ამის შესახებ, საქმიანად იყენებენ პრესის დახმარებას სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა გაზეთებისა და ჟურნალების გამოსვლას მხარს არ უჭერს ზოგიერთი პარტიული ორგანო, უწყება, დაწესებულება, ბიროკრატიულად ეკიდება მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, რომლებიც გამოქვეყნდა პრესაში ან გადაეგზავნა ორგანიზაციებს ზომების მისაღებად.

გაზეთ „კომუნისტის" 1962 წლის 3 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „საბეროში რომ სიცოცხლე ჩქეფდეს". წერილში აღნიშნული იყო ახმეტის რაიონის სოფელ საბეროს მცხოვრებთა გულისტკივილი. რედაქციამ ადგილზე დაიზუსტა, რომ ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ამ საკითხზე იმსჯელა, კარგი დადგენილებაც მიიღო. მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. წერილი წერილად დარჩა.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1963 წლის 11 იანვარს „კომუნისტმა" კვლავ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „სიტყვა ტკბილი, საქმე ძვირი", აქაც ბევრი რამ იყო აღნიშნული სოფელ საბეროში მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების და კეთილმოწყობის საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველომ რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. დაევალა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას ზომები მიეღო წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა.

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები ჯ. ბედოშვილი, ვ. ძებისაშვილი, ი. ჯიჩოევი, ნ. კორაშვილი, ვ. ხმიადაშვილი, ა. ბაიაშვილი კვლავ ატყობინებენ რედაქციას, რომ 1962 წელს „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილის შემდეგ საბეროში არაფერი არ გაკეთებულა.

კიდევ ერთი ფაქტი.

„კომუნისტის" რედაქციამ ჯერ კიდევ აპრილში მიიღო სიგნალები გეგეჭკორის რაიონის ზანათის საბჭოთა მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. რედაქციამ ერთი სიგნალი ზომების მისაღებად გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს, ხოლო მეორე, რომელშიც სერიოზულ დანაშაულობათა შესახებ იყო ლაპარაკი, რაიონის პროკურორს გადაუგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ამ ორგანიზაციებს რამდენჯერმე შევახსენეთ ეცნობებინათ რედაქციისათვის, თუ რა ზომები მიიღეს, დღემდე არავითარი შედეგი არა ჩანს. რედაქციიდან გადაგზავნილ კრიტიკულ წერილებზე პასუხის შეტყობინებას აჭიანებენ აგრეთვე გარდაბნის, დუშეთის, თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უნდა მოვაგონოთ, რომ უყურადღებო, გულგრილი მიდგომა პრესის სიგნალებისადმი, იმისადმი მისწრაფება, რომ პრესტიჟისა და წყენის მოსაზრებანი დააყენონ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა, ზიანს აყენებს საერთო საქმეს.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოწოდებული არიან მიიღონ ღონისძიებანი პრესაში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის გაძლიერებისათვის, კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენონ გაზეთები და ჟურნალები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმაც უფრო ფართოდ უნდა ჩაებან პრესის გამოსვლების ქმედითობისათვის ბრძოლაში ავტორთა აქტივი, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, თავიანთი საგუშაგოები, შემოწმების შტატგარეშე ბიუროები, მოაწყონ მასობრივი რეიდები და მუშაობის სხვა ისეთი ფორმები, რომლებიც ფართოდ არის დანერგილი და პრაქტიკულად გამართლებული საგაზეთო მუშაობაში.

მშრომელთა არც ერთი სიგნალი, გამოქვეყნებული არც ერთი შენიშვნა არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ — ასეთია პარტიული. საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკთა ამოცანა, პარტიის თვითეული წევრის უპირველესი მოვალეობა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მახარაძის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისში 1964 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის მახარაძის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1964 წლის 29 ივნისი.

რეპორტაჟი მკის ფრონტიდან

სიმდიდრის ველებზე

ბოლნისის რაიონის მინდვრის მშრომელებს სიხარულის ზაფხული დაუდგათ, შრომა დაუფასდათ და ახლა მის ნაყოფს იმკიან. ალგეთისა და ხრამის ნაპირებზე ქერის მკა გაჩაღდა. სულ მალე პურის ყანებიც გაიჭრება. წელს ბოლნისელები 32.000 ჰექტარზე აიღებენ თავთავიან მარცვლეულ კულტურებს. აქედან 9.000 ჰექტარი ქერია, დანარჩენი კი პური. მეტწილად „უფხო-1" ჯიშის ხორბალი უთესია.

„უფხო-1" ჯიშის ხორბალმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი, სიღნაღის რაიონში სარეკორდო მოსავალს იღებენ. ბოლნისის რაიონის პირობებშიც კარგად იგვარა ამ ჯიშის ხორბალმა. თავალი ვერ ძღება ცქერით, ისეთი კარგი ყანებია მარნეულის, ყაჩაღნის, ყულარის, იმირ-ასანის, დაბია-გიაურარხის, ფახრალოს, გამარჯვების, სადახლოს მინდვრებში. „უფხო-1" ჯიშის ყანები ოქროსფრად ლიცლივლებს. პოეტს უთქვამს, „მძიმე თავთავი თავდახრილიაო". „უფხო-1" ჯიშის ხორბალს ამ სიტყვებს თუ პირდაპირი გაგებით მივუყენებთ, არ შეეფერება. მისი თავთავები ძალიანაც მძიმეა, მაგრამ ისეთ მაგარ ღეროზეა, რომ მომკელს წელგამართული, გამარჯვებულის იერით იხმობს და თითქოს ეუბნება, — მოდი შრომის ბარაქით აგავსებ, გულს გაგიხარებო!

მარნეულის მერძეველობა-მეგობსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს ქერის მკა „ბანკიერის" მინდვრებში გაუჩაღებიათ.

— ეს მინდვრები ოდითგანვე ხვავითა და ბარაქით არის განთქმული, შემოსავლის უმრეტი წყაროა, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი გიორგი ქათამაძე.

მარნეულელებს ქერი 500 ჰექტარზე აქვთ ასაღები, ხოლო ხორბალი 1.200 ჰექტარზე. ქერს ჰექტარზე 20-25 ცენტნერს იღებენ, ხორბალს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ჰექტარზე 30-35 ცენტნერზე ნაკლები არ უნდა იყოს. „უფხო-1" ჯიშის ხორბლის ნათესებში კი უფრო მეტსაც მოელიან.

— მართალია, ეს მიწები აქაური ბუნებრივი პირობების კვალობაზე ადრეც დიდ მოსავალს გვაძლევდა, მაგრამ წელს სულ სხვაა, — სიამაყით ამბობს დირექტორი, — სამშობლოს ბელელში დიდძალ პურეულს ჩავყრით. ამ საქმეში ქიმია დაგვეხმარა. სასუქები და ჰერბიციდები აგროქიმიის წესების ზუსტად დაცვით შეგვქონდა, და აკი დაგვიფასდა გარჯა.

ახალთახალი თვითმავალი კომბაინის საჭეს ტანმაღალი, შავგვრემანი ვაჟკაცი მოსჯდომია და ოსტატურად მართავს. ეს სალმან აბასოვია. დღეში 8 ჰექტარის ნაცვლად 12 ჰექტარ ყანას მკის და ჰექტარზე 25 ცენტნერ მარცვალს ღებულობს.

სალმან აბასოვი 22 წელიწადია კომბაინერია. ამ ხნის მანძილზე შვიდი ათას ჰექტარზე მეტი ყანა მოუმკია, ასეული ათასობით ფუთი მარცვალი გაულეწია.

— ოცდამეხუთე გაზაფხული უფრო გულუხვი გამოდგა, — ამბობს კომბაინერი. — გასულ ზამთარში ქიმიურ ცოდნას ვეუფლებოდით, და აკი გაგვიმართლდა იმედები. — იღიმება სალმანი და თან ადგილზე ვერ ჩერდება, ვატყობთ, რომ დრო მისთვის ძვირფასია. ბარემაც ასეა, მას და მის თანამოსაქმეებს გადაწყვეტილი აქვთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვონ, 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ მოსავლის აღება. ეგი კომბაინზე ფიცხლავ ასტა და ხუთ ფუთში უკან ჩამოტოვა საველე ბანაკი.

საველე ბანაკი კი მართლაც ფრონტს მოგაგონებთ, მაგრამ არა ბრძოლის, არამედ ინტენსიური შრომის ფრონტს. აქე

ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 46-ე ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 46-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. ამ ტომით იწყება ტომების სერია, რომლებშიც შევა ვ. ვ. ი. ლენინის წერილები, დეპეშები და ბარათები.

მიწერ-მოწერა ლენინის იდეური მემკვიდრეობის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებების მნიშვნელოვანი დამატებაა, რომლებიც წინა ორმოცდახუთ ტომშია შეტანილი. წერილები მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა თეორიულ და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი ბოლშევიკური, კომუნისტური პარტიის — ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის, როგორ ხელმძღვანელობდა რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ბრძოლას დემოკრატიული, ხოლო შემდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და ახალი საზოგადოების აშენებისათვის. განსაკუთრებით ფართოდ და მრავალმხრივ ასახავს მიწერ-მოწერა ვ. ი. ლენინის ორგანიზატორულ მუშაობას. ლენინის წერილებში დიდი ადგილი უკავია საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის საკითხებს, მისი ერთობისათვის ბრძოლას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელებას.

წერილები გვიჩვენებენ, თუ რა შეურიგებლად ებრძოდა ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ყოველგვარ ოპორტუნიზმს პარტიაში და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში — რეფორმიზმსა და რევიზიონიზმს, დოგმატიზმსა და სექტანტობას, ფსევდორევოლუციურ ფრაზებსა და ავანტიურიზმს პოლიტიკაში, ნაციონალიზმს.

მიწერ-მოწერა უხვად შეიცავს ბიოგრაფიულ მასალებს, გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი, როგორ პირობებში მუშაობდა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ადამიანებთან, ნათესავებთან და ახლობლებთან.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-ნ გამოცემაში მისი მიწერ-მოწერა ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი. იგი 10 ტომს შეადგენს.

46-ე ტომში შევიდა 1893-1904 წლების წერილები. წერილები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი რუსეთში მარქსისტული რევოლუციური პარტიის შესაქმნელად, ამ პარტიის პროგრამის, საორგანიზაციო პრინციპების, ტაქტიკის შესამუშავებლად. წერილებში ნაჩვენებია, თუ რა დიდი სიძნელეები დაძლია ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრის“ გამოსაცემად და როგორ ხელმძღვანელობდა მის მუშაობას. მიწერ-მოწერაში ასახულია, თუ როგორ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ვ. ი. ლენინი რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის, ხალხისნობის, „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“ წინააღმდეგ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

წერილები გვიხასიათებენ ჟითარებელ ბრძოლას ეწეოდა ვ. ი. ლენინი რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის, ხალხისნობის, „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“ წინააღმდეგ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

46-ე ტომში გამოქვეყნებულია 322 წერილი, აქედან 128 წერილი ვ. ი. ლენინის თხზულებებში დღემდე არ შესულა. 21 წერილი პირველად იბეჭდება; ეს წერილები ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტვერისა და კავკასიის კომიტეტებს, „ისკრის“ რედაქციას და ცალკეულ სოციალ-დემოკრატებს — პ. პ. მასლოვს, გ. დ. ლიტვინოვს, მ. ნ. ლიადოვს, პ. ბ. აქსელროდს, რ. ს. ზემლიაჩკას, ი. ხ. ვილენსკის, ვ. პ. ნოგინს, ა. ი. ისაეკოს, ი. პ. გოლდენბერგს.

ტომის დამატებაში გამოქვეყნებულია „დიპ წერილი რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგის წევრებისადმი“, რომლის შედგენაში მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი, და ბიოგრაფიული ხასიათის მასალები — „ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) დაკითხვის ოქმები 1895-1896 წლებში პეტერბურგის საპატიმროში ყოფნის დროს“. (საკდესი).

სასკოლო მშენებლობა — საბრძოლო უბანი

საქართველოს სსრ განათლების საგანმანათლებლო ხაზით წელს უნდა აშენდეს:

სასკოლო შენობები 19.644 მოსწავლის ადგილით;

სკოლა-ინტერნატების შენობები 14.463 კვადრატული მეტრი საერთო ფართობისა;

საბავშვო ბაღა-ბალი 2.880 ბავშვისათვის.

საცხოვრებელი სახლები სოფლის მასწავლებლებისათვის 1.500 კვადრატული მეტრი საერთო ფართობისა.

მშენებლებო! ეს დიდი და პასუხსაგები დავალებაა და იგი ვადაზე უნდა განხორციელდეს.

როგორია თქვენი წარმატებები სასკოლო მშენებლობისა და, საერთოდ, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ფრონტზე? რა გაფერხებთ მუშაობაში? — ამაზე „კომუნისტი“ სისტემატურად გამოაქვეყნებს მასალებს.

რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და სიგნალებს!

ხელშემფლელი „ფვრილმანები“

ცხინვალში, ლიახვის ნაპირას შენდება 8-წლიანი სკოლის შენობა. წლის დასაწყისში მშენებლობის ტემპი საკმაოდ მადალი იყო. დასასრულს უახლოდება მეორე კორპუსის მშენებლობა, სადაც სასკოლო სახელოსნოები უნდა მოთავსდეს. მაგრამ სამარცხვინოდ ჭიანურდება სასუალო კორპუსის მშენებლობა. ჯერჯერობით ამ კორპუსის მხოლოდ პირველი სართულია ამოყვანილი.

მშენებლობაზე არის მასალები, მუშახელიც საკმაოა. მაგრამ სამუშაოების მიმდინარეობას ხელს უშლიან ერთი შეხედვით თითქოს წვრილმანი, მაგრამ მეტად შემაფერხებელი მიზეზი. ხშირად მშენებლებს აკლიათ წყალი. ქალაქის წყალსადენი კი ცუდად მუშაობს. წყალსადენის მუშაკები ზოგჯერ თვითნებურად კეტავენ წყალს და სხვა უბნებს აძლევენ. ამით მუშობა ფერხდება. ასეთივე მდგომარეობაა ელექტროენერგიით მომარაგების მხრივაც. ამას წინათ მშენებლობა შეჩერდა იმიტომ, რომ ელექტროენერგია არ იყო.

ამ საქმეებში უნდა დაგვეხმაროს ქალაქის საბჭოს აღმასკომი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ხელმძღვანელობა გაუწიოს სასკოლო მშენებლობას.

ა. ბესაევი,
გ. კოტაევი,
კალატოზები.

ქ. ცხინვალი.

ქ. ჭიათურის სსრ შუალედური საგაჭრო სასამართლო

გაიმართა ჭიათურის სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მოისმინა და განიხილა ჭიათურის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. დავითაძის მოხსენება რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ შვიდწლედის ხუთი წლის მანძილზე შემდგომ განვითარდა მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამ დროის მანძილზე მისი საერთო მოცულობა თითქმის 74 პროცენტით გაიზარდა. ფართო მასშტაბით წარმოებს საბინაო მშენებლობა.

სესიამ დაამტკიცა ჭიათურის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც მიიღეს მეორე სესიის შემდეგ. სესიამ დაამტკიცა აგრეთვე დებულება ჭიათურის სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

(საკდესი).

საყოველთაო საქმე

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ტყიბულში. ყველა საწარმო — შახტი, მშენებლობა, ფაბრიკა, ქალაქის მთელი საზოგადოებრიობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მიმართ. სწორედ ამით უნდა ახსნას, რომ განათლების საქალაქო განყოფილებამ შეასრულა მოსწავლეთა კონტინგენტის დაწესებული სახელმწიფო დავალება, მთლიანად და განუხრელად განახორციელა საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლება. ამ წარმატებების მოპოვებისათვის ქ. ტყიბულს მიენიჭა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ტყიბულპესის დირექციამ ამ დღეებში საბავშვო ბაღის გასახსნელად გამოჰყო ახალი ბინა. ქალაქის ცენტრში ძირითადად დამთავრდა პიონერთა სასახლის კაპიტალური შენობის აგება. ახლა მიმდინარეობს შენობის შიდა სამუშაოები.

ოქტომბრის ქუჩაზე სულ მალე გაიხსნება ახალი საბავშვო ბაღი, ქალაქის პირველ საშუალო სკოლას ახალ სასწავლო წელს შეეტება 4 საკლასო ოთახი, მეექვსე საშუალო სკოლასთან აშენდება კეთილმოწყობილი სახელოსნო. წელს სკოლებისათვის შეძენილი იქნება ახალი ინვენტარი, სასკოლო კაბინეტები და სახელოსნოები შეივსება 9200 მანეთის ხელსაწყო-იარაღებით, ხოლო ბიბლიოთეკები 1100 მანეთის წიგნებით. ბავშვთა გაჯანსაღების მიზნით მოწყობილია პიონერთა საზაფხულო ბანაკები. სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში დაპყოფა სასკოლო ასაკის 300 და სკოლამდელი ასაკის 200 ბავშვი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაა საქმეში ტყიბულის საზოგადოებრიობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქ. ჭიათურა.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შრომას დაფასება უნდა

გუდაუთის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მასწავლებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოთხ საშუალო სკოლასთან იგო ორ-ორბინიანი საცხოვრებელი სახლები. სოფლად მომუშავე მასწავლებელთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია ბინით, გათბობა-განათებით.

მაგრამ ამ წარმატებების გვერდით გვხვდება მასწავლებელთათვის ზრუნვის უგულებელყოფის ფაქტებიც, რაც აფერხებს სასწავლო-სააღზრდელო მუშაობის სათანადოდ წარმართვის საქმეს. კოლხიდის სასოფლო საბჭოს, მუგუძირხვის საშუალო, ბარმიშის, ლახადის, ბომბორის რვაწლიანი სკოლების მასწავლებლები არც უფასო ბინებით სარგებლობენ და არც კომუნალური მომსახურებისათვის იღებენ თანხებს 1962 წლიდან. მასწავლებლებისათვის ზრუნვაა საჭირო. ჯეროვნად უნდა ფასდებოდეს ნორჩი თაობის აღმზრდელთა შრომა.

ვ. ხაგთასი.

მინიატურული ელექტროვაკუუმური ქარხანა შეიძლება ვუწოდოთ სატელევიზიო კინესკოპების სარესტავრაციო საამქროს, რომელიც თბილისში გაიხსნა. უახლესი აპარატურით აღჭურვილი ახალი საამქრო გადაჭრის კინესკოპების გამოცვლის პრობლემას. მისი წარმადობაა 15 ათასამდე კინესკოპი წელიწადში. კინესკოპის რეგენერაცია აქ ორჯერ და უფრო მეტად იაფი ჯდება ახალ მილთან შედარებით.

სურათზე: მზა პროდუქციის შემოწმება.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ათეისტის ტრიბუნა

მორალი და რელიგია

მორალი ანუ ზნეობა ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. იგი წარმოადგენს ყოფაქცევის პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს ადამიანების დამოკიდებულებას ერთმანეთთან, საზოგადოებასთან, სამშობლოსთან, კლასებთან, სახელმწიფოსთან. მორალი განსაზღვრავს, მოცემულ საზოგადოებაში რა არის კეთილი და ბოროტი, სამართლიანი და უსამართლო, კეთილშობილური და მდაბალი საქციელი, იგი ახდენს ადამიანის ყოფაქცევის შეფასებას.

ისტორიის მთელ მანძილზე ექსპლოატატორული კლასები თავიანთ საკუთარ ზნეობას აცხადებენენ და აცხადებენ საკაცობრიო, უცვლელ, ეროვნულ და საშუალამდე დადგენილ ზნეობად. ამ საქმეში მათ დიდ სამსახურს უწევდა და უწევს რელიგია. რელიგიის მსახურთა შეხედულებით რელიგია მაღალი, საკაცობრიო მორალის საფუძველია, რომელიც იცავს ადამიანებს ყოველგვარი ბოროტებისა და დანაშაულისაგან.

განვიხილოთ პირველი საკითხი.

მართალია თუ არა შეხედულება, თითქოს რელიგია მორალის საფუძველია და ურელიგიოდ შეუძლებელია მორალის არსებობა?

მას შემდეგ, რაც ადამიანთა მოდგმა წარმოიშვა დედამიწაზე, მრავალმა ათასმა წელმა განვლო: რელიგია კი წარმოიშვა ეელურობის საშუალო საფეხურზე, დაახლოებით რამდენიმე ათასი წლის წინათ. როგორც ვხედავთ, ურელიგიო პერიოდი დიდად აჭარბობს რელიგიურს. ისმება კითხვა, არსებობდა თუ არა მორალი ურელიგიო ეპოქაში?

— რა თქმა უნდა, არსებობდა. მორალი წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოების შექმნის გარიჟრაჟზე, ე. ი. გაცილებით უფრო ადრე ვიდრე რელიგია, და იარსებებს მაშინაც, როცა რელიგია აღარ იქნება. თუ მორალი წარმოიშვა რელიგიაზე უფრო ადრე და იარსებებს მაშინაც როცა რელიგიაზე მხოლოდ ისტორიის საშუალებით ექნებათ წარმოდგენა, ცხადია რელიგიის პრეტენზია მორალის შექმნაზე და მისი არსებობის შეუძლებლობა რელიგიის გარეშე — ყოვლად უაზრო და უსაფუძვლოა.

შეიძლება თუ არა სწორი იყოს კულტის მსახურთა მეორე შეხედულება, რომ რელიგია იცავს ადამიანს ყოველგვარი დანაშაულისა და ბოროტებისაგან?

ისტორია და ცხოვრების პრაქტიკა ლაპარაკობს, რომ რელიგიას არასოდეს არ შეუშლია ხელი დანაშაულის ჩადენისათვის, ძარცვისა და მკვლელობისათვის, სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ტრუმენი თავის სიტყვას ყოველთვის ღვთის ხსენებით იწყებდა და ამთავრებდა, მაგრამ ამას ოდნავაც არ შეუშლია ხელი მსოფლიოს ატომური ბომბებით გამასპინძლებოდა ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მცხოვრებლებს, რამაც შეიწირა მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე.

ეს ფაქტი თავისთავად აღიშფოთებელია, მაგრამ უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ უდანაშაულო ადამიანთა ასეთი ბარბაროსული ამოქლეტა აკრძალა ამერიკის შეერთებული შტატების სამღვდელოებამ.

სარწმუნოებას არასოდეს არ ეხსნა ადამიანი ცუდი საქციელისა და დანაშაულისაგან. ისტორიამ იცის უთვალავი დანაშაული, რაც ღმერთის სახელით ხდებოდა. ღვთის რწმენის არ შეეძლო ადამიანის ხსნა ბოროტებისაგან თუნდაც იმიტომ, რომ რელიგიის მიხედვით ღმერთი ყოვლად მოწყალეა და საკმარისია ლოცვა და მონანიება, რომ მოწყალე ღმერთმა ყოველივე გაპატიოს და შეგინდოსო. მათეს სახარების გადმოცემით პეტრე მოციქული ეკითხება იესო ქრისტეს: უფალო! როდენ გზის უნდა შესცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შვიდჯერ? იესო უპასუხებს: არ შვიდჯერ, არამედ სამოცდაათი შვიდჯერ (ე. ი. 490-ჯერ).

ქრისტიანული რელიგია იმდენად არ აფასებს მართალ ადამიანს, რამდენადაც ცოდვილს, რომელმაც უკვე მოინანია თავისი ცოდვაბ. ლუკას სახარებაში წერია: „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შერცხანოს, ვიდრე 99 მართალთა, რომელთაც არაფერი აქვს შესანანიელი“.

ამრიგად, **რელიგია და მისი მსახურნი მორალურად ამართლებენ ყოველგვარ დანაშაულს, თუ მისი ჩამდენნი მოინანიებენ მას.** გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ღმერთისა და დედამიწაზე მისი მოადგილეების წინააღმდეგ.

ამრიგად, ის აზრი, რომ რელიგია ხელს უწყობს ზნეობის ამაღლებას და იცავს ადამიანს ბოროტებისა და დანაშაულისაგან, უარყოფილია თვით ცხოვრების მიერ.

მორალური პრინციპები და ყოფაქცევის ნორმები ადამიანთა ბიოლოგიური, თანდაყოლილი თვისება როდია. ის არც ზებუნებრივი წარმომობისაა, როგორც არ შეიძლება აგრეთვე ამა თუ იმ კლასისა ან საზოგადოებისათვის მისაღები, დადებითი და პატივსაცემი საქციელი ყველა კონკრეტულ პირობებში უპასუხებდეს ერთისა და იმავე კლასის ან საზოგადოების ინტერესებს.

ცნობილია, რომ ერთსა და იმავე მორალურ ნორმას არ შეუძლია გაითვალისწინოს სხვადასხვა კონკრეტული სიტუაცია.

კომუნისტური პარტია ყოველგვარი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგია. მისთვის სიმართლე მორალურია, ხოლო სიცრუე ამორალური. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიმართლისა და პირდაპირობის გულისათვის გაანდო მტერს საკუთარი ქვეყნის საიდუმლოება. კონკრეტულ ვითარებაში სიმართლე, დიდსულოვნება შეიძლება გადაიქცეს ამას რელიგიის მესვეურები ქადაგებენ. მორალი, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმა, —წარმოიშვა ადამიანთა განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე და იცვლება არსებული საწარმოო ურთიერთობის შეცვლის შედეგად. მორალი ცხოვრების პირობებით განისაზღვრება. ივი საზოგადოებრივი კატეგორიაა და ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში კლასობრივ ხასიათს ატარებს. არ არსებობს მარადიული, უცვლელი, ყველა დროისა და სოციალური ფორმაციისათვის მისაღები მორალური პრინციპები და ნორმები.

ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მორალური ნორმები არათუ არ გამოდგება ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის, არამედ უეჭველია ერთი საზოგადოებრივი ფორმაციისთვისაც, თუ ის ანტაგონისტურ კლასებად არის დაყოფილი. კლასობრივ საზოგადოებაში ის, რაც სიკეთეა ერთი კლასისათვის, ბოროტებაა მეორისათვის, ის, რაც სამართლიანია პირველისათვის, უსამართლოა მეორისათვის.

არ ეწინააღმდეგობა, თუ ადამიანი დაიბადა ერთ კლასობრივი ბრძოლის კანონებს, შესუსტებს სიფხიზლეს. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტული. ამა თუ იმ საქციელის ჩადენის დროს ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ სწორი იდეებითა და პრინციპებით. მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი მოქმედება სწორი და სამართლიანი.

რელიგიური მორალი ამართლებს კლასობრივ ჩაგვრას. იგი მოუწოდებს მორწმუნეებს მორჩილებისა და მოთმინებისაკენ და მოითხოვს, რომ მონები გულითა და სულით ემსახურონ თავიანთ ბატონებს, ხოლო ურჩი ღვთის წყრომით ემუქრება. „მონებო, ყველფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს; ემსახურეთ მათ არა მარტო შესახედავთ, როგორც პირფერნი, არამედ გულის სიმართლითა და ღვთის შიშით“ — ასეთია პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლასელთა მიმართ. აი რატომ უეჭერდა და უეჭერს მხარს რელიგიურ მორალს ყველა ექსპლოატატორული კლასი — მონათმფლობელი, ფეოდალები, ბურჟუაზია, აი რატომ არ ენანებათ მათ ფული ეკლესიისა და სამღვდელოების შესანახად. მათთვის დიდად ხელსაყრელია ქადაგება: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხებდით მწყევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცავდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ (მათეს სახარება, თავი 5, მუხლი 44).

მორჩილებისა და მოთმინების მორალი, მტრისადმი სიყვარულის მორალი, ეწინააღმდეგება პროლეტარიატის მორალს, საბჭოთა ადამიანის მორალს. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ლენინის მითითება, რომ ვინც აშენდებს მონას, იმის ნაცვლად, რომ აიჯანყოს იგი მონობის წინააღმდეგ, ის მონათმფლობელობას ეხმარება.

რელიგია არ სჯერდება მარტო მონური იდეების ქადაგებას. მას არა სწამს ბედნიერება ამ ქვეყანაზე. და ადამიანის საქმიანობას დედამიწაზე აფასებს როგორც სამზადისს საიქიო ცხოვრებისა-თვის. რელიგია მოითხოვს ამ ქვეყნის სძულვილს.

რელიგია უარყოფს ამ ქვეყნის სიყვარულს იმ მოტივით, რომ თითქოს ამაში არ გამოიხატება ღმერთისადმი სიყვარული, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება და პირდაპირ აცხადებს, რომ ამ ქვეყნის სიყვარული ღვთის სძულვილია. ვისაც ეს ქვეყანა უყვარს, ის ღვთის მტერია. ნუთუ არ იცით, ამბობს **იაკობ** მოციქული თავის ეპისტოლეში, რომ „სიყვარული სოფლისა ამის მტრობაა ღვთისა? ან უკვე, რომელსა უნდეს მეგობრად — ყოფად ამა სოფლისა, მტრად ღმერთსა აღუდგების“.

გამოდის, რომ ნამდვილმა მორწმუნემ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელი უნდა აიღოს და დაადგეს ესოდ ქრისტეს გზას. ამ მიზნით მან უნდა მიატოვოს სახლ-კარი, ცოლ-შვილი, დედ-მამა, და-ძმანი, რისთვისაც ის ჯილდოს მიიღებს და საუკუნო ცხოვრებას დაიმკვიდრებს.

გასაგებია, რომ ასეთ მორალს შეუძლია მხოლოდ ჩაახშოს ადამიანის აზრი და ნებისყოფა, ჩაჰკლას მასში აქტივობა, დანერგოს ფატალიზმი და საკუთარი ძალებისადმი ურწმენობა, ადამიანს არ მისცეს საშუალება ვაგოს, თუ ვინ არის ხალხის ტანჯვისა და უბედურების მიზეზი, შეიცნოს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების კანონები, იბრძოლოს უკეთესი საზოგადოებრივი წყობილებისათვის, საამური და ბედნიერი მომავლისათვის არა ზეცაში, არამედ ამ ქვეყნად.

კომუნისტური მორალის პრინციპები, რაც ესოდენ მკაფიოდ ასახულია სკკპ პროგრამაში, ემსახურება კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდ საქმეს აქედან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ — ის, რაც ხელს უწყობს კომუნისტურ საზოგადოების აშენებას — სიკეთეა, მორალურია, რაც ხელს უშლის — ბოროტებაა, ამორალურია.

კომუნისტური მორალი საერთოსაკაცობრიო მორალია. იმდენად, რამდენადაც კომუნისტური მორალი უპირისპირდება ექსპლოატატორთა კლასობრივ მორალს, კაპიტალისტური სამყაროს ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებს, ის ყველაზე სამართლიანი და კეთილშობილური მორალია, რომელიც თანაბრად ემსახურება როგორც საბჭოთა ხალხს, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებსა და იდეალებს.

ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხის შეგნებაში განუყოფლად გაბატონებულია სოციალისტური იდეოლოგია და კომუნისტური მორალი, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ადგილი არა აქვს კომუნისტური მორალის საწინააღმდეგო მოვლენებს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანის შეგნებიდან აღმოფხვრილია კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომ ყველა ისე იქცევა, როგორც ამას მოითხოვს კომუნიზმის ინტერესები, რომ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა დამთავრებულია. ცხადია ეს ასე არ არის.

